ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

ოქმი:ო65. 6523171001
თარიღი:20/06/2023

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 7

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 19.06.2023 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **- გიორგი ივანიაძე.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი: გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ტარიელ ბარამიძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, დავით ხარძეიშვილი, გრიგოლ მატარაძე, ბიჭიკო პაიკიძე, ილია დვალიშვილი, მაკა ზარნაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **- ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში **- ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი **- მამუკა ნამიჭეიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -**ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის იურისტი - **გელა კაშია.**

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ***ივანე მამფორია***

2. ქალაქ ვანის ქუჩებში, სკვერებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ;

მომხს.: ***გიორგი ივანიაძე***

3. ,,ვანის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ***გელა კაშია***

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის მაისის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს.: ***გელა ჩიკვაიძე***

5. „ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10/03/2023 წლის N გ-65.65230692 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს.: ***მამუკა ნამიჭეიშვილი***

6. „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე;

მომხს.: ***გიორგი ივანიაძე***

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით

მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ:

ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 16683,2 ათასი ლარით, გადასახდელები 17954,8 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1271.6 ათასი ლარით.

ბ) შემოსულობები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განსაზღვრულია 16683,2 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 330,0 ათას ლარს.

გ) გადასახდელები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 17954,8 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 330,0 ათას ლარს.

დ) გადასახდელები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 17954,8 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 330,0 ათას ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

დადგენილება N 15

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით გიორგი ივანიაძემ აღნიშნა, რომ საკითხის ინიციატორი არის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" და ამ ფრაქციას სთხოვა, რომ წარედგინა საკითხი სხდომისთვის. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ თამარ შენგელიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხლვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელმა განმარტა, რომ დადგენილების პროექტის მიხედვით ვანის მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების, საზოგადოებრივ სივრცეებში

სისუფთავის დაცვის, მწვანე ნარგავების შენარჩუნების მიზნით აიკრძალოს ქალაქ ვანის ტერიტორიაზე მდებარე ქუჩებში, პარკებში, სკვერებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოლა/ყოფნა.

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირება განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა.

დაევალოს ვანის მუნიციპალიტეტის მერიას მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების, ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის განთავსების გზით.

აღინიშნა, რომ ამ წესების დარღვევის, ასევე მწვანე ნარგავების დაზიანების შემთხვევაში გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა 50 ლარია, ხოლო დაკავებული პირუტყვის დღიური მოვლა-პატრონობის ხარჯი 30 ლარი;

დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის 1 ივლისიდან, მანამდე კი მოხდება მოსახლეობის ინფორმირება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხლვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“;

დადგენილება N16

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა - გელა კაშიამ წარმოადგინა პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ” ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის შესაბამისად ცვლილება ეხება ,,ვანის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ” ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 აპრილის N11 დადგენილებას“, კერძოდ:

დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით -- ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების

ფორმების დამტკიცების შესახებ”.

დადგენილების დანართი N1-ის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. პირს, ვის მიმართაც შედგენილია საჯარიმო ქვითარი-ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, მისი შედგენიდან 10 დღის ვადაში, შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ვანის მუნიციპალიტეტის მერთან, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82^5 (პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში) და 150-ე მუხლებით, ასევე ნარჩენების მართვის კოდექით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე – სასამართლოში.

ასევე შეიცვალა დადგენილების N2 დანართი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ” ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

დადგენილება N17

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 01 ივნისის N65-6523152001 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მაისის თვეში ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 744 (შვიდასორმოცდაოთხი) ლარი, რაც ჯამში შეადგენს 7440 (შვიდიათასოთხასორმოცი) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

განკარგულება N გ- 65.65231701

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10/03/2023 წლის N გ-65.65230692 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროექტის მიხედვით ცვლილება შეეხება „ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 მარტის Nგ-65.65230692 განკარგულებით დამტკიცებული პროექტების ღირებულებას.

განკარგულების პროქტის მიხედვით პროგრამით განსახორციელებელ პროექტების ღირებულებაში: სოფლების ძულუხი, ზედა მუქედი, ისრითი და მთისძირი შეტანილი იქნება ცვლილება და განხორციელდება წარმოდგენილ დანართში დატანილი ღირებულების შესაბამისად.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10/03/2023 წლის N გ-65.65230692 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

განკარგულება N გ-65.65231702

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი; „ვანის

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებლმა აღნიშნა, რომ „სამოქმედო გეგმა მოიცავს: მიზანს, ამოცანას, აქტივობას, შედეგის ინდიკატორს, ბიუჯეტს, დაფინანსების წყაროს, პასუხისმგებელ უწყებას, პარტნიორ უწყებას, შესრულების ვადას, სამოქმედო გეგმა თავისი მიზნების განსახორციელებლად ითვალისწინებს ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული აქტივობების განხორციელებას, ამ მიზნით გამოყოფილი 5000 (ხუთიათასი) ლარი გადანაწილებულია პრიორიტეტების გათალისწინებით.

სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებია: გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერება, გენდერული სტატისტიკის წარმოება და სისტემატური განახლება, ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების გამართვა მუნიციპალიტეტის საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთან.

გამომდინარე იქედან, რომ სამოქმედო გეგმა 2 წელზეა გათვალისწინებული, მოიცავს ისეთ აქტივობებს, რომელთა განხორციელება და არსებული გამოწვევების დაძლევა გენდერული საბჭოს მიერ პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით შეძენილი ცოდნით და გამოცდილებით ეფექტურადაა შესაძლებელი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;

განკარგულება N გ-65.65231703

სხდომის დასასრულს სიტყვა ითხოვა საკრებულოს წევრმა ლიზა ტყეშელაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ მოხდა ბზვანის მოსახლეობის სასოსფლო-სამეურნეო სავარგულების გასხვისება შპს „შატო - კოლხი“-ზე; ამან სამართლიანად გამოიწვია ხალხის გულისწყრომა და წარმოშვა საპროტესტო ტალღა. მან ითხოვა, რომ საკრებულო ჩერთოს ამ საქმის ვითარების გარკვევაში, რაზედაც სხდომის თავმჯდომარისაგან მიიღო დაპირება, რომ საკრებულო გაარკვევს საქმის ვითარებას და მოახდენს შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი